COLLEGE

მარნეულის კოლეჯი

COLLEGE OF MARNEULI

სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი

აგვისტო 2023

ანალიზის პრეზენტაცია მომზადებულია შპს მარნეულის კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ

http://www.mc.edu.ge

სტრუქტურა

- შერჩევა
- მიზანი
- შედეგები
- დასკვნა
- რეკომენდაციები

შერჩევა

- მოდულების შერჩევა განხორციელდა სასწავლო პროცესზე დაკვირვების მეთოდოლოგიით განსაზღვული II სტრატეგიით:

  შერჩევა ხდება პროგრამების მიხედვით, ისე, რომ ყველა პროგრამის ზოგადი და დარგობრივი მოდულებიდან ჯამში არანაკლებ 3 მოდულის სასწავლო პროცესზე მოხდეს დაკვირვება

- სასწავლო პროცესზე დასწრების განრიგში მოხვდა ქართული ენის მოდულის ყველა ჯგუფის მეცადინეობაზე დასწრება.

შერჩევა

<u>მოდულები შეირჩა პროგრამების მიხედვით:</u>

6-6 მეცადინეობა

- [ ] საექთნო განათლების პროგრამა
- [ ] აღმზრდელის პროგრამა
- [ ] ფარმაციის პროგრამა
- [ ] ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამა

4 მეცადინეობა

- [ ] ქართული ენა A2
- [ ] ქართული ენა B1

მიზანი

სასწავლო პროცესზე დაკვირვების მიზანია:

- პროფესიული განათლების მასწავლებლის მუშაობის შეფასება;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის საჭიროებების განსაზღვრა;
- სასწავლო პროცესის დადებითი ასპექტების და ხარვეზების გამოვლენა მისი შემდგომი გამოსწორების მიზნით.

შედეგები

საქართველოს განათლების პროგრამა - I დაგეგმვა

- ყველა მასწავლებელი მცირედი გადაცდომების მიუხედავად მიყვება კალენდარულ გეგმას;
- ჩამოყალიბებული აქვს მეცადინეობის მიზანი;
- შერჩეული აქვთ სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები (ხშირად ინტერაქტიული მეთოდები)
- ორი მასწავლებელის შემთხვევაში ლექციები იყო რუტინული, მასწავლებელი იყო დომინანტი და მათ მიერ გამოყენებული აქტივობა იყო მხოლოდ კითხვა- პასუხი;
- ყველა მეცადინეობაზე სასწავლო გარემო შერჩეული იყო თემის შესაბამისად.

შედეგები

საქართველოს განათლების პროგრამა - II განხორციელება

- ოთხი მეცადინეობის შემთხვევაში განხორციელების ეტაპი წარიმართა დაგეგმის ეტაპის შესაბამისად;
- ახალი მასალის გაგების ხარისხს მასწავლებელი ადგენდა შესაბამისი აქტივობების განხორციელებით;
- უზრუნველყოფდა სტუდენტთა ჩართულობას და ამომწურავ პასუხებს სცემდა მათ კითხვებზე;
- მასწავლებლის მიერ ინფორმაციული ტექნოლოგიები გამოყენებული იყო მიზნობრივად თემასთან და აქტივობებთან მიმართებით.

შედეგები

საექთნო განათლების პროგრამა - II განხორციელება

- ორი მეცადინეობის შემთხვევაში დაგეგმვის ეტაპზე გამოკვეთილი ვითარება რაც მდგომარეობს მასწავლებლის დომინანტობაში და მხოლოდ რუტინულად ლექციური ტიპის გამოყენებაში;
- მასწავლებლის მიერ ახალი მასალის გაგების გადამოწმება ხდება მხოლოდ კითხვა-პასუხის რეჟიმით, რაც ვერ უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ მასალის გაგების შეფასებას რეალურად ვერ უზრუნვლეყოფენ სტუდენტების ჩართულობას.

შედეგები

<u>აღმზრდელის პროგრამა - I დაგეგმვა</u>

- ❖ ყველა მეცადინეობა შეესაბამებოდა კალენდარულ გეგმებს
- ❖ ერთი მეცადინეობის გარდა ყველას ჰქონდა განსაზღვრული მიზანი, რომელიც განხორციელების ეტაპზე გააცნეს სტუდენტებს.
- ❖ ყველა მასწავლებელს შერჩეული ჰქონდა მრავალფეროვანი აქტივობები
- ❖ ყველა მასწავლებელს გამოყენებული ჰქონდა პრაქტიკული სავარჯიშოები, მათ შორის ზოგადი მოდულების მასწავლებლებსაც.

შედეგები

საქართველოს განათლების პროგრამა - III შეფასება

- 4 მეცადინეობის ფარგლებში მასწავლებლის მიერ მოხდა თემის შეჯამება და მეცადინეობის მანძილზე თითოეული აქტივობის ბოლოს სტუდენტებისთვის უკუკავშირის მიცემა;
- ორ მეცადინეობაზე არ განხორციელებულა შეფასების ეტაპი: შეჯამება და უკუკავშირის მიცემა. განხორციელების ეტაპზე არ იყო რელევანტური აქტივობები შერჩეული და არც სტუდენტთა ჩართულობა ხდებოდა მეცადინეობის პროცესში.

შედეგები

<u>აღმზრდელის პროგრამა - II განხორციელება</u>

- ახალი მასალის ახსნის შემდეგ მასწავლებლები სხვადასხვა აქტივობების განხორციელებით ადგენდნენ სტუდენტების მიერ ახალი მასალის გაგების ხარისხს
- ზოგიერთი მასწავლებლის შემთხვევაში გამოყენებულია, როგორც ძირითადი ისე დამატებით სასწავლო რესურსი;
- დარგობრივი მოდულების მეცადინეობებზე სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ერთმანეთს გაუზიარონ თემასთან დაკავშირებული საკუთარი გამოცდილება.

შედეგები

<u>აღმზრდელის პროგრამა - II განხორციელება</u>

ერთ-ერთი მასწავლებლის შემთხვევაში გამოიკვეთა:

- დაგეგმილ მრავალფეროვან აქტივობებს და მათ შორის შემთხვევის ანალიზს ახორციელებდა ზეპირსიტყვიერად;
- სტუდენტებისთვის არ მომხდარა არანაირი მასალის მიწოდება;
- არ მომხდარა კომპიუტერის, როგორც სასწავლო რესურსის გამოყენება;

შედეგები

<u>აღმზრდელის პროგრამა - III შეფასება</u>

- პროგრამის ყველა დასწრებულ მეცადინეობაზე, მასწავლებლების მიერ გამოყენებული იყო ლექციის შეჯამების ტექნიკა;
- მეცადინეობის პროცესში, აქტივობების შესრულების შემდეგ მასწავლებელის მიერ ხდებოდა განმავითარებელი შეფასების მიცემა;

შედეგები

ფარმაციის პროგრამა - I დაგეგმვა

ყველა მეცადინეობის თემა შეესაბამება კალნედარულ გეგმას და მოდულით მოცემულ შედეგებს

ჩამოყალიბებული და განსაზღრულია მიზანი, თემის შესაბამისად შერჩეულია სასწავლო გარემო.

ერთ-ერთი მოდულის მასწავლებელი ნებისმიერი მოდულის სწავლებისას მუდმივად იყენებს მხოლოდ ფრონტალურ მეთოდს, არის დომინანტი სწავლების პროცესში.

პრაქტიკული სავარჯიშოების და პრაქტიკული სწავლების დაგეგმვა მეცადინეობებს ხდის საინტერესოს და მასწავლებლების მიერ დაგეგმილი თემის შესაბამისი აქტივობები მიზნის მიღწევის საშუალებას აძლევს მასწავლებელს და უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართულობას

შედეგები

ფარმაციის პროგრამა - II განხორციელება

4 მეცადინეობის შემთხვევაში, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი აქტივობები უზრუნველყოფდა სტუდენტების ჩართულობას

ახალი მასალის ახსნის დროს იყენებდნენ სხვადასხვა საჭირო რესურსს, მათ შორის სახელმძღვანელოს და დამატებით მასალა

სტუდენტების კითხვების შემთხვევაში მასწავლებელი აწვდიდა ამომწურავ პასუხებს

მასალის ახნის პარალელურად სავარჯიშოებით და სხვადასხვა აქტივობებით ახდენს სტუდენტებში, ახალი მასალის გაგების გადამოწმებას

ორი მოდულის შემთხვევაში მეცადინეობა არის ერთფეროვანი, არ არის გამოყენებული არანაირი რესურსი ან მასალა არც ძირითადი და არც დამატებითი.

შედეგები

ფარმაციის პროგრამა - III შეფასება

- მასწავლებლების ნაწილს გამოყენებული აქვს მეცადინეობის შეჯამების ტექნიკა და სტუდენტებისთვის მიწოდებული აქვს განმავითარებელი შეფასება

- ორ მეცადინეობიდან რომელიც ნაწილობრივ შესაბამისობაში იყო ხარისხის მართვის სამსახურის სასწავლო პროცესის შეფასების კრიტერიუმებთან - ერთმა განახორციელა შეჯამება და შეფასება, ხოლო მეორემ - არა

შედეგები

ინფორმაციის ტექნოლოგიების პროგრამა - I დაგეგმვა

- ზოგად მოდულებზე, დაგეგმვის ეტაპი იყო კალენდარული გეგმის შესაბამისი და შერჩეული თემა შეესაბამებოდა მოდულის სწავლის შედეგებს
- მასწავლებლების მიერ შერჩეული სწავლის მეთოდი და აქტივობები იძლეოდა მიზნის მიღწევის საშუალებას
- ერთი მოდულის შემთხვევაში გამოიკვეთა კალენდარულ გეგმასთან შეუსაბამობა და მასწავლებლის მიერ არ იყო მეცადინეობის მიზანი განსაზღვრული

შედეგები

ინფორმაციის ტექნოლოგიების პროგრამა - I დაგეგმვა

- დარგობრივ მოდულებზე მოხდა ახალი მასწავლებლის ორი მოდულის შესწავლა
- მეცადინეობის ყველა ეტაპი იყო ეფექტური
- განსაზღვრული მიზანი, შერჩეული სწავლის მეთოდი და დაგეგმილი აქტივობები სრულ შესაბამისობაში იყო როგორც ერთმანეთთან ისე სასწავლო გარემოსთან
- მასწავლებლის მიერ შერჩეული თემა იყო კალენდარულ გეგმასთან შესაბამისობაში და თავის მხრივ სწავლის შედეგებთან

შედეგები

<u>ინფორმაციის ტექნოლოგიების პროგრამა - II განხორციელება</u>

- ზოგადი მოდულების განხორციელების ეტაპზე - დაგეგმვის ეტაპის შესაბამისად განხორციელდა პროცესები;
- მხოლოდ ახალმა მასწავლებლმა არ გააცნო სტუდენტებს მეცადინეობის მიზანი და მის მიერ გამოყენებული რესურსები იყო არა საკმარისი
- დარგობრივ მოდულებს ახალი მასწავლებლის მიერ ჩატარებული ორი მეცადინეობა შეესაბამებოდა დაგეგმვის ეტაპზე განსაზღვრულ მიზანს და სასწავლო აქტივობებს

შედეგები

ინფორმაციის ტექნოლოგიების პროგრამა - II განხორციელება

- მასწავლებელი სსსმ სტუდენტის მიმართ იყენებს განსხვავებულ მიდგომებს, აღნიშნულმა სტუდენტმა იცის როგორ დაიწყოს ლინუქსის პროგრამის დაყენება.
- მესამე მასწავლებლის მიერ არასრულად დასახელებული თემის მიუხედავად პრაქტიკული დავალებები შერჩეული აქვს ისე, რომ დასახელებული თემა თუმცაღა ის არანაირი ფორმით არ ერთვება სსსმ სტუდენტის სწავლის პროცესში.

შედეგები

ინფორმაციის ტექნოლოგიების პროგრამა - III შეფასება

ყველა მეცადინეობაზე მასწავლებლების მიერ სტუდენტებთან მიწოდებული იყო უკუკავშირი, მეცადინეობის მანძილზე სტუდენტების მიერ გამოვლენილი სუსტი და ძლიერი მხარეებზე აქცენტირებით,

მეცადინეობის შეჯამება განახორციელა მხოლოდ ორმა მასწავლებელმა.

შედეგები

ქართული ენის A1 და B2 მოდულები - I დაგეგმვა

- ქარული ენის მოდულებზე დაწრება მოხდა ყველა ჯგუფთან და ყველა დონეზე
- დაგეგმვის ეტაპი ორი მასწავლებლის შემთხვევაში სწორად იყო წარმართული, შერჩეული სწავლის მეთოდები და აქტივობები შეესაბამებოდა მეცადინეობის თემას, მიზანს, კალენდარულ გეგმას და სწავლის შედეგებს.
- მე-3 მასწავლებელს მის მიერ დაგეგმილი აქტივობები სრულად ვერ უზრუნველყოფს სწავლის შედეგის მიღწევას.

შედეგები

ქართული ენის A1 და B2 მოდულები - II განხორციელება

- სამი მეცადინეობის შემთხვევაში დაგეგმვის ეტაპის შესაბამისად წარიმართა პროცესები და უზრუნველყოფილ იყო მეცადინეობის მიზნის მიღწევა
- მე-4 მეცადინეობის განხორციელების პროცესი: კითხვა - პასუხის რეჟიმი; კალენდარული გეგმით განსაზღვრული თემის შესწავლის ნაწილობრივ უზრუნველყოფა; რესურსის- სახელმძღვანელოს მხოლოდ მასწავლებლის მიერ გამოყენება

შედეგები

ქართული ენის A1 და B2 მოდულების პროგრამა - III შეფასება

- 3 მეცდინეობის შემთხვევაში - განხორციელდა განხილული/შესწავლილი თემის შეჯერება და მთავარი აქცენტების გაკეთება
- სასწავლო პროცესის დროს საჭიროების შემთხვევაში სტუდენტებთან მუდმივად ხდებოდა განმავითარებელი შეფასების მიცემა;
- მე-4 მეცადინეობის შემთხვევაში გამოიკვეთა ხარვეზები ლექციის შეჯამებისა და უკუკავშირის ეტაპზე

რეკომენდაციები

2022-2023 სამოქმედო წელს სასწავლო პროცესზე დასწრების მონაცემების შესწავლის შედეგად შეიძლება მცირედი რეკომენდაციების გაცემა კოლეჯის ადმინისტრაციისთვის:

კონკრეტულ მასწავლებლებთან მოხდეს ტრენინგ-მეცადინეობების დაგეგმვა, რომლებთანაც ჯერ ისევ იკვეთება წინა წლებში გამოვლენილი ხარვეზები

ყველა მასწავლებლებისთვის ჩატარდება მასტერ კლასი - სწორად დაგეგმილი და განხორციელებული მეცადინეობის საჩვენებლად.